რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია
პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სამშაბათი, 9 იანვარი 1918 წ.

# ბრძოლა

გაზეთი გამოდის ყოველ დღე. ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, Георгіевская ул. № 1, для груз. газ. „Брдзола". კორესპონდენციები და სხვა ყოველგვარი წერილები - რედაქციის სახელზე შემდეგ ადრესით: Тифлисъ. Гаповская ул. № 3. Редакція груз. газ. „Брдзола". განცხადებები დაიბეჭდება მხოლოდ უკანასკნელ გვერდზე და სტრიქონი პეტიტის ღირს 20 კ.

ფასი 10 კ.

№ 5 რუსეთის ს.-დ. მუშ. პარ. (ბალშევიკების) კავკ. საოლქო და თფილისის კომიტეტების ორგანო. № 5

## მიიღება ხელის მოწერა 1918 წლ.

ყოველ დღიურ გაზეთებზე

„ბრძოლა", „კავკაზსკი რაბოჩი" და „ზანგოლი პრივ"-ზე

რუსეთის ს.-დ. მ. პარტიის (ბალშევიკების) საოლქო და თფილისის კომიტეტების ორგანოებზე.

„ბრძოლაზე" ხელის მოწერის პირობები: ერთი წლით ღირს 24 მან., ნახევარი წლით—12 მან., ერთი თვით—2 მან,

პირველ იანვრიდან ხსენებულ გაზეთების კანტორა მოაწყობს გაზეთების თფილისში ხელის მომწერთა ბინაზე მიტანას. მხოლოთ თავის დროზე გაზეთის მი-, ღების მსურველთ გადახდებათ თვეში 50 კაპ. გამოცხადებულ ხელმოსაწერ ფასებზე მეტი

## რევოლიუცია პროვინციაში.

ოქტომბრის გადატრიალებამ პოლიტიკური ძალა-უფლება პროლეტარიატს და უღარიბეს გლეხობას გადასცა. ასე მოხდა ცენტრში, ასევე უნდა მომხდარიყო პროვინციაში, უამისოთ რევოლიუციას დამარცხება მოელოდა.

შესდგა საბჭოების მთავრობა, რომელმაც გადისროლა ლოზუნგი: ადგილობრივათაც მთელი ძალა-უფლება საბჭოებს. ეს ლოღიკური დასკვნა იყო იმ დებულებისა, რომ მუშების განთავისუფლება მუშებისავე ხელით უნდა მოხდეს. ამის დაკვალათ ჩვენ ვხედავთ, რომ პეტერბურგს მოჰყვა მოსკოვის და შემდეგ ქალაქების მთელი რიგი, სადაც ძალა-უფლება მართლა გადავიდა მუშების, სალდათების და გლეხების საბჭოთა ხელში.

ცენტრს პროვინციაც გამოეხმაურა. რევოლიუციის ძლევა მოსილებაც იმაშია, რომ მან თავისი ცეცხლი პროვინციაშიც დაანთო. ერთ და იმავე დროს არ მოედო ეს ცეცხლი ყველგან და ეს იმის ბრალია, რომ სხვაგან და სხვა კუთხეები ერთნაირათ არ არის მრეწველობის მხრით განვითარებული. მაგრამ ბოლოს მიყრუებულ კუნჭულშიაც აღწევს განმანახლებელი ალი და აიძულებს მათ მხარი დაუჭირონ ცენტრს არა პასიურათ, მარტო თანაგრძნობით, არამედ აქტიურათ, ადგილობრივი რევოლიუციის მოხდენით.

ეს პროცესი ჯერ არ დასრულებულა, მაგრამ მარტო ის გარემოება, რომ რევოლიუციამ პოვა თავისი სავალი გზა და პროვინციაც ჩაება საერთო ფერხულში, თავდებია რევოლიუციის გამარჯვებისა.

არა ნაკლებ მნიშვნელოვანია მეორე ნაბიჯი, რომლითაც რევოლიუციამ თავისი სავალი გზა გაიკაფა. ეს არის ლოზუნგი ერების თვით-გამორკვევის შესახებ, რომელიც რევოლიუციამ უკლებლათ განახორციელა. მართალია, თვითგამორკვევის გზაზე შემდგარი დაჩაგრულ ერების ბურჟუაზია ებრძვის სწორეთ იმ მთავრობას, რომელმაც მას ეს დიდი ხნის სანუკვარი უფლება მიანიჭა, მაგრამ მეორე მხრით ამით ბურჟუაზიის ფრონტის მთლიანობა დარღვეულია. და სხვა და სხვა ერის ბურჟუაზიის ინტერესთა გაერთიანება მეტათ ძნელი საქმეა. გარდა ამისა ამ ერების პროლეტარიატი აუცილებლათ დგება თვითგამორკვევის გზაზე, ის ერკვევა, როგორც კლასი და სავსებით უერთდება მთელი რუსეთის პროლეტარიატს, რომელთანაც ერთათ ქმნის საერთო ფრონტს, როგორც საკუთარ, ისე სხვა ერის ბურჟუაზიის წინაალმდეგ. ბურჟუაზიის ფრონტის დარღვევა გზას უკაფავს რევოლიუციას ჩამორჩენილ ერებშიაც.

ეს პროცესი უფრო მძიმეთ მიმდინარეობს. ნაციონალური პრობლემებით გართულებული ის ბევრ ალაგას მეტათ მწვავე ტკივილებს ბადებს და გაცილებით მეტ ენერგიას მოითხოვს რევოლიუციის გასამარჯვებლათ, ვიდრე უფრო განვითარებულ და მცხოვრებთა შეადგენლობის მხრით ერთგვარ კუთხეებში.

ასეთ მდგომარეობაშია კავკასია, სადაც ერის თვით-გამორკვევას ცენტრის ბურჟუაზიის მიმართ ზედ ერთვის უფრო მწვავე საკითხი ადგილობრივ ერთა ერთმანეთ შორის თვითგამორკვევისა. რევოლიუცია ცდილობს სოციალური გარდაქმნა აქაც გამოიწვიოს, ბურჟუაზია ნაციონალურ ინტერესებს აყენებს წინ და მით გზა-კვალს უბნევს მშრომელ ხალხს

მთელი ძალა-უფლება მუშების, გლეხების და სალდათების საბჭოებს—ასეთია რევოლიუციის ერთათ ერთი სწორი გზა. ჩვენ კი დღეს ვხედავთ, რომ არა თუ არ გადასულა ძალა-უფლება საბჭოების ხელში, არც კი დაწყებულა სერიოზული ბრძოლა ამ ძალა-უფლების გადასასვლელათ. საბჭოებს სრულიათ ეკარგება ის როლი და მნიშვნელობა, რომელიც აქამდე ქონდა მათ მინიჭებული და პოლიტიკური ცენტრი გადადის ნაციონალურ საბჭოების ხელში. მშრომელი ხალხის რევოლიუციონური საბჭოები ჩამოქვეითდა და მათი ადგილის დაჭერას ლამობენ ნაციონალური საბჭოები.

დღეს ნაციონალურ საბჭოებში წყდება ის კითხვები, რომლებიც აქამდე მუშების და სხ. საბჭოების კომპეტენციას შეადგენდა. გაბატონებული კლასები ამით თავის ლოზუნგს აყენებენ და ცდილობენ მის ცხოვრებაში გატარებას: ეს ლოზუნგია: მთელი ძალა-უფლება ნაციონალურ საბჭოებს

თვით გამორკვეული, განთავისუფლებული და ხელფეხ გახსნილი ბურჟუაზია, ასწრებს პროლეტარიატს და ირაზმება. პროლეტარიატი შედარებით სუსტობს, როგორც ორგანიზაციულათ, ისე შეგნებით. ბურჟუაზია ცდილობს თავის სასარგებლოთ გამოიყენოს ეს ხელსაყრელი მომენტი.

ის აარსებს ნაციონალურ საბჭოებს, რომლებიც უპირდაპირდებიან მუშების, გლეხების და სალდათების საბჭოებს. ის აარსებს ნაციონალურ პოლკებს და მით იმზადებს თავის ბატონობის დასაცავათ მუდმივ ჯარს. ის აშკარათ ყოფს და სთიშავს სხვადასხვა ერების პროლეტარებს და მათ ერთმანეთის წინაალმდეგ ამხედრებს. ერთი ერის ბურჟუაზიის ინტერესები ეწინაალმდეგება მეორე ერის ბურჟუაზიის ინტერესებს, მათ შორის შეტაკება აუცილებელია და აი ისინი დროიანათ იჭერენ თადარიგს. ერთ და იმავე ტერიტორიაზე მოსახლე ერთმანეთში შერეული, მაგრამ მაინც გამოყოფილი, დარაზმული და შეიარაღებული ნაციები საკუთარი ჯარით აუცილებლათ უნდა შეეტაკონ ერთმანეთს, რისთვისაც სულ მცირეცი საბაბია საჭირო. ასეთ პოლიტიკას აუცილებლათ მოყვება სისხლის ღვრა და მშრომელი ხალხის მომავალიც დიდ საფრთხეში ჩავარდება.

უმტკიცეთ ეს ჭეშმარიტება გაბატონებულ კლასებს—ეს სრულიათ ამაო და და უნაყოფოა. მას სხვა გზა არა აქვს თავის ბატონობის განსამტკიცებლათ და ის ამაზე თავის ნებით ხელს არ აიღებს. მხოლოთ ამ პოლიტიკით, სხვადასხვა ერის მშრომელი ხალხის ერთმანეთიდან გამიჯვნით, მათი ერთმანეთზე გადაკიდებით, მათი შეტაკებით ის აღწევს ბატონობას საკუთარ მშრომელ ხალხზე და თუ ამისთვის საჭიროა სისხლის ღვრაც,—დაიღვაროს სისხლიც; თუ უცხო ბურჟუაზიას ვერ მოერევა, საკუთარ მშრომელ ხალხს ხომ დაიმორჩილებს!

კოალიციის პრინციპი, რუსეთში დამარცხებული, აქ დღესასწაულობს თავის გამარჯვებას. შეიქმნა ძლიერი ფრონტი ადგილობრივათ ბურჟუაზიის ბატონობის განსამტკიცებლათ, გაერთიანდა ყველა—ბალშევიკების წინაალმდეგ საბრძოლველათ.

ამაში გასაკვირველი არაფერია და ეს ჩვენ არც შეგვაკრთობს. უნდა ვსცნოთ კი, რომ მეტათ მძიმეა ის პირობები, რომლებშიაც დღეს უხდება მოქმედება პროლეტარიატის პარტიას. დღემდე საქმე უფრო ადვილათ იყო. ცენტრში გამარჯვებული რევოლიუციით ჩვენ სავსებით ვსარგებლობდით, იქ თავწამოყოფილი რეაქციის სუსხი ჩვენ ნაკლებ გვხდებოდა. ჩვენი რევოლიუციონური მოქმედება სწარმოებდა რუსეთის რევოლიუციის ხარჯზე, რომელიც ჩვენგან უმთავრესათ ითხოვდა მხოლოთ ცენტრის მხარის დაჭერას და თანაგრძნობას. წავიდა ეს დრო. ყოველმა მხარემ და კუთხემ რევოლიუცია თავ-თავის ადგილზე უნდა მოახდინოს. მხოლოთ ამ გზით შეიძლება რევოლიუციის გამარჯვება.

ამ მხრით ჩვენ მარტოოდენ ჩვენი ძალების ამარა ვართ. ვიცით, რომ ეს ძალები მეტათ მცირე და არა საკმაოა. წინ კი გვიდგას იმ დიდ დაბრკოლებათა გადალახვა, რომლებიც დიდი ტანჯვით დასძლია რუსეთის პროლეტარიატმა. ჩვენი მდგომარეობა მასთან შედარებით კიდევ უფრო რთულია. მრეწველობის განუვითარებლობიდან დამოკიდებული მუშათა კლასის სიმცირე, ნაციონალიზმ-შოვინიზმის სიღუხჭირე, ინტელიგენტურ ძალთა ნაკლებობა ქმნიან მეტათ მძიმე მდგომარეობას

მაგრამ დასაბამიდან ბრუნავს ქვეყანა და მას ვერ შეაჩერებს ჟორდანიების ბრძანება. ადრე თუ გვიან კავკასიაც შედგება იმ გზაზე, რომელიც განვლო პეტერბურგის პროლეტარიატმა.

რა ვუყოთ, თუ კავკასიის სოციალ-დემოკრატიის ბელადი ჟორდანია დღეს ქართველი ერის ბელადია! ობიექტიურათ უნდა დავაფასოთ ის მოვლენა, რომ

დღეს მენშევიკების პარტიამ უკლებლათ ჩაიყურყუმელა ნაციონალიზმის ჭაობში. კავკასიის მენშევიზმმა ვერ გამოყო თავის შორის ის მიმართულება, რომელიც რუსეთში ინტერნაციონალისტების სახით სიტყვით მაინც არ სწყვეტს კავშირს სოციალიზმთან.

თავის საპატიო მიზეზები აქვს იმ მოვლენას, რომ მცირედი პროტესტიც არ გაისმის მენშევიკურ წრეებში იმ პოლიტიკურ გათახსირების გამო, რომელშიაც მთელი პარტია ჩაეფლო. ნაციონალიზმი თავის სრულ გამარჯვებას დღესასწაულობს და ამას უდრტვინველათ იტანს მთელი მენშევიზმი; მან ერთი პირიც ვერ წამოაყენა თავის წრიდან, რომელმაც გაბედულათ შესძახოს პარტიის მესვეურთ: თქვენ უღალატეთ მშრომელ ხალხს და თქვენთან სიარული მას არ არგია. მთელი მენშევიზმი დაირაზმა საქართველოს დროშის ქვეშ და მას ემსახურება. მას აღარ ძალუძს ატაროს ინტერნაციონალის დროშა და ეს იდეიურათ გახრწნილი პარტია დაიშლება თავის შემადგენელ ნაწილათ. მას ჩამოშორდება სომხურ-თათრულ-რუსული ნაწილები, რომ შეუერთდენ საკუთარ ნაციონალისტურ პარტიებს.

საქართველო საფრთხეშია, გაუმარჯოს საქართველოს—იძახის მენშევიზმი და მასთან ერთათ მთელი ნაციონალისტური ბანაკი. საფრთხეშია არა საქართველო, არამედ რევოლიუცია, საფრთხეშია ინტერნაციონალი, საფრთხეშია სოციალიზმი. მშრომელი ხალხი უნდა დაირაზმოს ამ დროშის ქვეშ და თავის წილათ საკუთარი ძალით გასწიოს მძიმე ჭაპანი რუსეთის რევოლიუციისა. მას უნდა ეყოს ამისთვის ძალები, გამჭრიახობა და შეგნება. ჩვენი ვალია დავეხმაროთ ამ შეგნების ზრდას, მალგრათ მივიტანოთ იერიში დარაზმულ ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ ბანაკზე და მოუწოდოთ მ[...]თან საბრძოლველათ შრომის შვილებს, მოუწოდოთ მუშებს და ღარიბ გლეხებს. მტერი ვერ გაუძლებს ამ იერიშს და დღეს გულზვიადი და მხიარული მალე ჩაიცვამს სამგლოვიარო ძაძას.

რევოლიუციამ გაიმარჯვა ცენტრში, მან უნდა გაიმარჯვოს პროვინციაშიც.

# კვალ და კვალ

### კაუცკის წერილი და „ერთობის“ ყალბი კომენტარიები

ჩვენ არა ერთხელ აღგვინიშნავს, რომ ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლაში „ერთობის“ უმთავრეს იარაღს ცილის წამება, ტყუილი და სხვისი აზრების გადამახინჯება შეადგენს. მაგ. ორი კვირის წინეთ ჩვენ „ერთობა“ დავიჭირეთ აშკარა ტყუილში, რომელიც გამოიხატა მის მიერ კლარა ცეტკინის წერილის შინაარსის განზრახ გადამახინჯებაში. მაშინ ჩვენ „ერთობას“ ვურჩიეთ (რომ მკითხველი თვითონ გარკვეულიყო სიმართლეში) გადაებეჭდა კლარას წერილი. მარა ჩვენი „ხმა დარჩა ხმათ მღაღადებელისა უდაბნოსა შინა“, რითაც „ერთობამ“ ყველასათვის ცხადჰყო თავისი ტყუილი.

ასეთსავე ხერხს მიმართავს „ერთობა“ კაუცკის წერილის შესახებაც, მხოლოთ იმ განსხვავებით, რომ ამ შემთხვევაში უშვებს რისკს და ბეჭდავს ამ წერილს, მარა მიაქციეთ ყურადღება, როგორ იქცევა იგი: წერილს ათავსებს მეოთხე გვერდზე, თავის უაზრო და ყალბ კომენტარიებს კი უთმობს მოწინავის ადგილს! ასე იქცევა ეს გაზეთი იმ კაუცკის, რომლისაც იმავე მოწინავეში განუსაზღვრელ ხოტბას ასხამს და ცამდის აჰყავს, როგორც საქვეყნოთ ცნობილი თეორეთიკოსი მარქსიზმისა. „ერთობის“ თითქმის სამი გვერდი მრავალი აბდაუბდითაა ავსებული, და კაუცკის შინაარსიან წერილს კი ეთმობა უკანასკნელი ადგილი. რით აიხსნება ეს? ცხადია „ერთობის“ სტრატეგიული“ მოსაზრება მდგომარეობდა შემდეგში: მისი უზომოთ ეროვნული და დაჯერე მკითხველები ყურადღებით წაიკითხავენ მხოლოთ ამ საუცხოვო კომენტარიებს და მით სრულიათ დაკმაყოფილდებიან.

ჩვენ ვამბობთ: „ერთობის“ კომენტარიები სავსეა სიყალბით და უაზრობით და სრულიათ ამახინჯებენ კაუცკის წერილის დედა აზრს. თავის დროზე ჩვენ მოვათავსებთ „ბრძოლაში“ ამ წერილის საკუთარ თარგმანს, ეხლა კი ვემყარებით რა „ერთობაში“ მოთავსებულ ტექსტს, ვამტკიცებთ შემდეგს:

1. დედა აზრი კაუცკის წერილის მდგომარეობს იმაში, რომ ავტორი დიდი თანაგრძნობით უყურებს ოქტომბრის რევოლიუციის მომხდენთ—პროლეტარიატს და გლეხკაცობას—ბოლშევიკების მეთაურობით. ეს აშკარათ ჩანს მისი სიტყვებიდან: „იმ მდგომარეობის შემსუბუქება, რომელშიაც ამ ჟამათ რუსეთის პროლეტარიატი იმყოფება, ჩვენს საზრუნავ საგანს უნდა შეადგენდეს“. ამ მოვალეობას კაუცკის აზრით, საუკეთესოთ შეასრულებს გერმანიის სოციალ-დემოკრატია და პროლეტარიატი, როცა შესძლებენ, მსგავსათ რუსეთისა, სოციალისტური რევოლიუციის გაღვივებას თავის ქვეყანაში.

2. კაუცკი სავსებით ეთანხმება კ. ცეტკინს ერთ რამეში, სახელდობრ: რუსეთის ვითომდა ჩამორჩენა ევროპასთან შედარებით ხელს უწყობს პროლეტარულ რევოლიუციის გამარჯვებას ამ ქვეყანაში. ეს ჩანს კაუცკის შემდეგი სიტყვებიდან: „რუსეთის პროლეტარიატი თავისუფალია იმ ბურჟუაზიული ტრადიციებისაგან, რითაც ასე დატვირთულია დასავლეთ ევროპის მუშათა კლასი“. კაუცკი უთითებს მაგ.: დიდი რევოლიუციის ტრადიციათა გავლენას საფრ. პროლეტარიატზე, ფრიტრედერების (თავისუფალი ვაჭრობის მომხრენი) გავლენას ინგლისის პროლეტარიატზე.

3. კაუცკი აღიარებს, რომ ბოლშევიკები ნამდვილი მარქსისტები არიან, რითაც იგი მათრახს ურტყამს თავში საბრალო „ერთობელებს“, რომლებიც ამავე დროს ასე აღმერთებენ კაუცკის! როგორც არა ერთხელ გვითქვამს, წვრილ-ბურჟუაზიული „ერთობა“ სამ მეოთხედს თავის ადგილისას ანდომებს იმის მტკიცებას, რომ ბოლშევიკები მარქსისტები არ არიანო. მოუსმინოთ კაუცკის: „რუსეთის პროლეტარიატის ბელადები მარქსისტები არიან, ე. ი. ისინი მიმდევარნი არიან პროლეტარული აზროვნების ახალ და უმაღლეს ფორმისა... სწორეთ ამ ჯგუფებმა მიიყვანეს რუსეთის რევოლიუცია გამარჯვებამდე (ავტორს ალბათ სახეში აქვს თებერვალ-მარტის ბურჟუაზიული რევოლიუციის გამარჯვებას) და ახლაც (ე. ი. ოქტომბრის ბოლო რიცხვებში, გადატრიალების შემდეგ) მეთაურობენ მას“. აქედან აშკარაა კაუცკის შეხედულება ოქტომბრის რევოლიუციის მეთაურებზე, ე. ი. ბოლშევიკებზე, როგორც მარქსისტებზე.

4. კაუცკი კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს (თუმცა ფრთხილათ, მორიდებით, რომ „ბატები არ აყიყინდენ“) მენშევიკების ყალბს ტაქტიკას, როგორც წმინდა ბურჟუაზიის (მილიუკოვ-გუჩკოვის მეთაურობით), ისე კოალიციურ (კერენსკის მეთაურობით) სამინისტროს შედგენის დროს.

იგი სწერს: „ომის დროს ძალა-უფლების ბურჟუაზიის ხელში გადასვლა, რომელიც (ძალა-უფლება) პროლეტარიატმა მოიპოვა, ნიშნავდა მთელი ჯარის ბურჟუაზიის ხელში გადაცემას, ნიშნავდა ნდობის გამოცხადებას ბურჟუაზიის ომის მიზნებისადმი, ზავის ჩამოგდების საქმეში, ეს ნიშნავდა ომის განგრძობას ანტიდემოკრატიული და ანექსიური ინტერესებისათვის“. კაუცკი ამბობს, რომ კოალიციური ტაქტიკა გაკოტრდა იმიტომ, რომ მან ვერ გადასჭრა ზავის და დამფუძნებელი კრების კითხვა.

იგი სწერს: „კოალიციურ სამინისტროებს შეეძლოთ თავიანთი მისიის შესრულება, რომ შესძლებოდათ ზავის დაჩქარება და დამფ. კრების მოწვევა. რამდენათაც ნელის ნაბიჯით მიდიოდა ზავი, იმდენი სიჩქარით ინგრევა კოალიციური მთავრობა, იმდენათ იზრდებოდა ბოლშევიზმის მომხრეთა რიცხვი სანამ ბოლშევიკებმა არ ჩაიგდეს ძალა-უფლება ხელში.“

5. კაუცკი აღფრთოვანებით ლაპარაკობს ბოლშევიკებზე და ოქტომბრის რევოლიუციის სანტრულ გამარჯვებაზე. ჩვენ სავსებით მოგვყავს ეს სტრიქონები: „ახლა უნდა გამოაშკარავდეს: აქვს თუ არა საფუძველი ბოლშევიკების მიერ ძალა-უფლების ხელში ჩაგდების საშიშროებას. როგორც ეტყობა, ბოლშევიკებს ენერგია საკმაო აქვთ. მათ წრეში მოიპოვებიან ინტელიგენტი, გამოცდილი ამხანაგები. მათ წინაშე დაბრკოლებები დიდია და თუ მათ ამ დაბრკოლებათა დაძლევა შესძლეს, ჩვენს თვალწინ მოხდება ისეთი რამ, რაც კაცობრიობას არ დაუნახავს და არ განუცდია: კაცობრიობის ისტორიაში ახალი ხანა დადგება.“

ასეთია კაუცკის შეხედულება რუსეთის რევოლიუციაზე, ოქტომბრის გადატრიალებაზე და ორ ტაქტიკაზე: ობორონცულზე და ინტერნაციონალისტურზე. ჩვენ ვაღიარებთ, რომ კაუცკის პოზიცია ინტერნაციონალში, როგორც ცენტრის, არ იყო სწორი. კაუცკიმ და კაუცკიანებმა დიდი ზიანი მოუტანეს ამ ომის დროს რევოლიუციონურ ინტერნაციონალიზმს. ჩვენ სასტიკათ ვებრძოდით და ვებრძვით ამ ორჭოფულ პოზიციას. მაგრამ კაუცკის მაინც არ დაუკარგავს მარქსისტული დიალექტიკის, მსჯელობის უნარი. მხოლოდ ერთი რამაა დამახასიათებელი კაუცკისათვის: რუსეთის ამბებზე ის მსჯელობს ზედმიწევნით ფრთხილათ, დამოუკიდებლათ, ობიექტიურათ, მიუდგომლათ, იგი აქაც, როგორც ცენტრის წარმომადგენელი, ცდილობს დაიჭიროს საშვალო, შემარიგებელი პოზიცია, არ ეხრობა კატეგორიულათ არც ერთ მიმდინარეობას, მარა მიუხედავათ ამისა, მისი ობიექტიური, მეცნიერული პოზიცია ცხად ჰყოფს ბოლშევიკურ ტაქტიკის, როგორც მარქსისტულის, სისწორეს და ობორონცების ღალატს მარქსიზმისა და ინტერნაციონალიზმისადმი. იმ დროს, როცა კაუცკი, ოქტომბრის გადატრიალების მეოთხე დღეს, მოუწოდებს ინტერნაციონალს, ენერგიულათ მხარი დაუჭიროს რუსეთის პროლეტარიატის მიერ აფრიალებულ სოციალისტურ დროშას, ჩვენი ობორონცები საერთოთ და ჩვენებური მენშევიკები, „ერთობელები“—კერძოთ, ყოველ საშვალებას ხმარობენ, კორნილოვ-კალედინებსაც კი ზურგს უმაგრებენ, რომ საბოლოოთ დამარცხდეს პროლეტარული რევოლიუცია. მართალია, მემარცხენე რევოლიუციონერ ინტერნაციონალისტებს და ცენტროვიკებს, კაუცკიანებს შორის დიდი განსხვავებაა, მარა მათ შორის საერთოც ბევრი რამ არის. ჩვენებურ, ობორონცულ „ერთობის“ მენშევიკებს და კაუცკის შორის კი ისეთი დიდი მანძილია, როგორც ცასა და დედამიწას შორის, ვინაიდან პირველნი კარგა ხანია, მეტადრე ოქტომბრის შემდეგ, სრულიათ დაშორდენ მარქსიზმს, ინტერნაციონალიზმს, სოციალიზმს და გადაიქცენ წვრილ-ბურჟუაზიულ და ნაციონალისტურ პარტიათ.

ეს ხალხი კიდევ წარამარა უძახის თავის თავს სოციალისტებს. „ერთობას“ თავი მოაქვს კაუცკის ამხანაგათ. სად ხარ, სირცხვილო!

# ორი ბანაკი.

დღეს მთელი რუსეთი ორ ვეებერთელა ბანაკათაა გაყოფილი: ერთი მხრით პროლეტარიატის მეთაურობით დარაზმული ფაბრიკა-ქარხნებში ოფლში გაწურული მუშათა კლასი და სოფლის ულარიბესი გლეხკაცობა და მეორე მხრით—მთელი ქვეყნის მუქთახორა, ბურჟუაზია, კადეტების მეთაურობით, მას ზურგს უმაგრებს, მცონარე ინტელიგენცია, ვაჭრები, ბანკირები, ჩინოვნიკობა და ყველა ჯურის შოვინისტები, დღეს მათ მხარეზეა ის პარტია, რომელიც კიდევ ბედავს ილაპარაკოს სოციალ-დემოკრატიის სახელით, თუმცა მას დიდი ხანია ჩამოუხსნია ნიღაბი სოციალიზმის და დემოკრატიზმის და ბურჟუაზიას და ნაციონალისტებს მიკედლებია. ჯერ კიდევ ოქტომბრის დღეებში, როდესაც მოთმინებიდგან გამოსული პროლეტარიატი მოგერებიდგან იერიშზე გადავიდა, ქუდზედ კაცს მოუწოდებდა გვერდში ამოსდგომოდა და დაემარცხებია მოზღვავებული მტერი. ობორონცებმა ლაჩრულათ მიატოვეს ბრძოლის ველზედ პროლეტარიატი ბურჟუაზიის და მეფის გენერლების გასასრესათ, და გულზე ხელ დაკრეფილი შეყურებდნენ მას იმედით, რომ პროლეტარიატი ადვილათ დამარცხდება და შემდეგ მის ძვლებზედ კვლავ პორტფელებზედ დაუწყებდნენ ვაჭრობას მილიუკოვს, ალექსეევს და კალედინებს. მაგრამ მოხდა ის, რაც სიზმრათაც არ ეჩვენებოდა მენშევიკებს და მათ კომპ. პროლეტარიატმა, მიუხედავათ მეხანძრეთური ღალატისა, უფრო მოიკრიფა ძალა და სასიკვდილო ლახვარი ჩასცა ბურჟუაზიას, კოალიციის ალაგას შეადგინა ნამდვილი მშრომელი ხალხის მთავრობა. ვინც სთქვა ანი, მან უნდა სთქვას ბანი. მენშევიკები და მემარჯვენე ესერებიც ასე მოიქცენ. ამ დღიდგან მთელი ბარგი ბარხანით ისინი გადაბარგდნენ მემამულეებთან და სასტიკი ომი გამოუცხადეს მშრომელი ხალხის მთავრობას, მაგრამ პირდაპირ შესატაკებლათ უძლურნი აღმოჩნდენ, რადგან რევოლიუციის ცენტრში, მათ მიმდევრები თითქმის სულ აღარა ყავდათ და უჯარო გენერლებათ აღმოჩნდნენ.

მშრომელმა ხალხმა რვა თვის განმავლობაში ნათლათ დაადგინა მათი მოღვაწეობა და საკადრისი მიუზღო. დარჩა განაპირა ქვეყნები, სადაც ჯერ კიდევ მენშევიკები ცოცხლობენ და კლასთა ბრძოლა ნაკლებათ იყო განვითარებული, მაგ. კალედინის სამეფო, ამიერ კავკასია, უკრაინა, მთიულეთი და სხვა. და აი აქეთკენ გამოეშურენ, რომ ყველგან, კავშირი შეეკრათ ხალხის მტრებთან და დაემარცხებინათ ხალხის მთავრობა. მარ-

თლაც მათმა გეგმამაც ხორცი შეისხა. ჩვენ მალე მოწამე გავხდით, კალედინის ავანტიურის, ამიერ-კავკასიის გამოყოფის, უკრაინის რადის გამოსვლის და მთელი კონტრ-რევოლიუციონერების მობილიზაციის. ჩვენ აშკარათ დავინახეთ, თუ რა ხელიხელ ჩაკიდებული მოდიოდენ ეს მუშათა კლასის მტრები: ამიერ-კავკასია უგზავნის კალედინს იარაღს, კალედინ-კარაულოვი სამაგიეროთ პურს, უკრაინა არ უშვებს და იარაღს ყრის იმ ჯარს, რომელიც კალედინის წინააღმდეგ ბედავს წასვლას და უსირცხვილოთ ატიტვლებს ფრონტს, იმ დროს როდესაც ზავს მტკიცე საფუძველი ეყრება. ყველა ჯურის ნაციონალისტები და შოვინისტები, პრესით, თუ სიტყვით სწამლავენ ატმოსფერას და ცდილობენ სახელი გაუტეხონ მშრომელი ხალხის მთავრობას. ყველაფერი ეს ისე სწრაფათ და გარკვევით ხდება, რომ ბრმისათვისაც ნათელია, რომ აქ ერთნაირი კავშირია, მუშათა კლასის დასამარცხებლათ და სამოქალაქო ომის გასაღრმავებლათ. მაგრამ მოსტყუვდნენ მუშათა კლასის მოსისხლე მტრები და მოღალატე მენშევიკ-ესერებ - ობორონცები. მუშათა კლასი არც ისე პატარა ჯგუფი ყოფილა. როგორც მათ მოერთეს განგაში. ამ ვეებერთელა პარტიას ზურგს უმაგრებს მილიონობით და ათეული მილიონობით დარაზმული ტვირთმძიმენი და სიკვდილამდის არავის დაანებებენ სისხლით მოპოებულ უფლებას, დღეს თვითეულმა ამ კლასის წევრმა იცის, რომ ის არის ღირსი ძალა უფლების და მილიონი მისი ძმების ძვლებზედ თუ აღადგენენ ისევ გაუყიდველ ბურჟუაზიულ მთავრობას, თორემ ისე ბურჟუაზია ვერ იხილავს ძალა-უფლებას.

მუშათა კლასის საბედნიეროთ პროლეტარიატი ოქტომბრის გამარჯვების შემდეგ ყველგან გამარჯვებული გამოდის, უკრაინის რადა, როგორც ვხედავთ უკვე დათმობის გზას დაადგა და მალე ვნახავთ, რომ მის ალაგას საბჭოები ბატონობდეს. ამიერ-კავკასიაში მიუხედავათ ათასნაირი ხრიკების მთელი კონტრ-რევოლიუციონერების გაერთიანების კადეტ-დაშნაკელ ფედერალისტ - შოვინისტებიდგან მენშევიკ-ობორონცებ მდის მუშათა და სალდათთა საბჭოების სიეზზედ აშკარა დამარცხება იგემეს და დღეს არა ხვალ მოწამე გავხდებით ამიერ კავკასია რუსეთთან ერთად რევოლიუციის გასაღრმავებლათ ძმურათ იომებს.

ორიოდე სიტყვა მინდა რომ ვთქვა „სახალხო საქმის“ „რევოლიუციონერებზედ“ „სახალხო“ გაზეთის № 135ში მოთავსებულია ქ. რაჭველიშვილის წერილი ამ სათაურით: „მომენტი და ჩვენი ტაქტიკა“. ეს ვაჟბატონი აშკარა დემაგოგის როლში გამოსულა და ბალშევიკები აშკარა მტრათ დაუსახავს ერთა თვითგამორკვევის საქმეში. ქვევით ის სწერს: „როდესაც კერენსკი სათავეში ედგა მთავრობას, მაშინ ჩვენ ბალშევიკებთან ერთად ვიყავით, მხოლოთ როდესაც ესენი სათავეში მოექცნენ მთავრობას, მაშინ ჩვენ მათ ჩამოვცილდით“-თო. აქ რამდენი სიტყვა, იმდენი ტყუილია: ჯერ ერთი სად ბალშევიკები და სად შოვინისტები, ან როდის იყო ისინი ბრძოლის ველზედ პროლეტარიატთან ერთად იდგენ? მაგრამ შეიძლება გულში გახარებულნი იყვნენ, როდესაც კერენსკის კამპანია მარცხდებოდა, და ფიქრობდნენ,—ბალშევიკები აწყვეტენ და კავკასიის მშრომელ მასსას შოვინისტების სათამაშო ტაკნათ გახდიდენ? ერთი კი აშკარაა: ეს პარტია (თუ ამ პატარა ჯგუფს პარტიას დავუძახებთ) თავისი თავით და თავისი ფეხით მთელი თავისი არსებობის დღეში მარტო ვერ გადაუდგამს ერთი ნაბიჯიც, ფედერალისტები, ერთხანს ქართველ ნაც.-დემოკრატიასთან ერთად სამღვდელოების ლოცვა კურთხევით გამოდიოდა, შემდეგ თავად-აზნაურობას ელაქუცებოდა და დრო მოჭმული ერობის შემოღებას მოითხოვდა ერთ წერტილ შეუცვლელათ. ეს ზღვაში დალუპულ დანჯღრეულ ნავივით ხან სოც.-რევოლიუციონერებს მიადგებოდა და ხან ანარქისტებს. ბოლო ხანებში ის უკრაინას ამოეფარა და იქედგან ქვას და გუნდას უშენდა ინტერნაციონალს. ამ უკანასკნელათ, როდესაც კერენსკის მთავრობამ ლაგამი ამოსდო მათ და სიტყვის ნებაც არ მისცა, ცოტა შეტორტმანდნენ და მარცხნივ ფიქრობდენ გადახედვას, მაგრამ, მარცხენის ქარს ერთა თვით-განვითარებასთან ერთად თან მოჰქონდა სოციალიზმი, და სასიკვდილო ცელი შოვინიზმის წინააღმდეგ მიმართული. და აქ იყო მათი ტრაგიკული მდგომარეობა ამ დროს იყო, რომ მათ ჩვენმა ობორონცებმა შესთავაზეს ერთი თბილი ადგილი და ამ უკაცრავათ პასუხია „პარტიისათვის“ ხომ დიდი საჩუქარი იყო, რომ როგორც ფინიას კუდი ექნია მათთვის და გაელაშქრათ ბალშევიკების წინააღმდეგ? საბრალო ფედერალისტები!! თუ გინდა ყეფას დაათხოვო, გადაუგდე ერთი ლუკმა ნასუფრალი და მყისვე გაკმენდენ ხმას. საუცხოვო სოციალისტებია და კიდევ უკეთესი რევოლიუციონერები!

ილიკო პაპავა.

## ყველა რაიონების პარტიულ ამხანაგების საყურადღებოთ.

ამხანაგებო! უკიდურესი ფინანსიური სივიწროვის გამო კავკასიის ბალშევიკების საოლქო კომიტეტმა რ. ს.-დ. მ. პარტიისამ 1917 წ. 31 დეკემბრის სხდომაზე დაადგინა შემდეგი: მიეცეს წინადადება ყველა რაიონულ ორგანიზაციებს, რომ წევრებმა ერთდროულათ გადასდონ ერთი დღის შემოსავალი. შეგროვილი ფული ორგანიზაციებმა უნდა წარუდგინონ კომიტეტის ხაზინადარს ამხ. აკოპ აკოპიანს.

საოლქო კომიტეტი რ. ს.-დ. მ. პ. (ბოლშ.).

# მუშათა წერილები.

გაზ. „ერთობის“ 227ნომერში მოთავსებულია ვიღაც ალ. წეველის წერილი სათაურით: „რა მოგვცა ბალშევიკურმა მთავრობამ?“ ეს წერილი სწორეთ რომ შედევრია სიცრუის, ულოღიკობის და უზრდელი დემაგოგიის. წეველი, სწერს: „როგორც ვიცით, ბალშევიკებმა კორნილოვისებური შეთქმულობით შესძლეს სახელმწიფოს ძალა—უფლების ხელში ჩაგდებაო“. მკითხველო, სიცრუე ამაზე შორს წავა?! ოქტომბრის რევოლიუცია მოახდინა პროლეტარიატმა რევოლიუციონური ჯარის დახმარებით. პეტროგრადში კერენსკის მომხრე აღმოჩნდა მხოლოთ ქალთა ბატალიონი და ნაწილი იუნკრების, და როდესაც თქვენ პროლეტარიატის და ჯარის მასსიურ გამოსვლას ადარებთ კორნილოვის კონტრ რევოლიუციონურ შეთქმულებას, როგორი სახელწოდების ღირსი ხართ ამ შემთხვევაში? წეველი აკრიტიკებს სახალხო კომისარების საბჭოს ზავის პოლიტიკას და ამბობს, რომ „ბალშევიკებმა რევოლიუციონური რუსეთი ვილჰელმის წინ წამოაჩოქესო.“ მართალია ეს? გერმანელთან მოლაპარაკების დროს ჩვენ წამოვაყენეთ უანექსიო და უკონტრიბუციო ზავის მოთხოვნილება, მოვითხოვეთ საყოველთაო დემოკრატიული ზავი. როგორც უკანასკნელ დეპეშიდან სჩანს, გერმანია თანახმაა უანექსიო და უკონტრიბუციო ზავზე, თუ ამაზე დასთანხმდება საფრანგეთი და ინგლისი. ნუთუ ეს დიდი ნაბიჯი არ არის წინ, საბოლოვო ზავის ჩამოსაგდებათ გადადგმული?

წეველს არ მოსწონს დეკრეტი მიწის შესახებ და ამბობს, რომ იგი ცხოვრებაში განხორციელებაზე შორსსა დაცილებული. მუშათა და გლეხთა მთავრობამ მთელი მიწა გამოაცხადა ხალხის საკუთრებათ, და ეს პრინციპი კიდევაც ტარდება ცხოვრებაში. ერთი ვიკითხოთ, რა გააკეთა „ობორონცების“ კოალიციურმა მთავრობამ ამ სფეროში? 8 თვის განმავლობაში ეს ვაჟბატონები ბურჟუაზიას მისდევენ კუდში და იმის მაგივრათ, რომ დაუყონებლივ გაეტარებიათ ცხოვრებაში ეს დიდ მნიშვნელოვანი სოციალური რეფორმა, ისინი იჭერდენ საადგილ-მამულო კომიტეტების წევრებს (გლეხებს) და ციხეებში ამწყვდევდენ. „ახლა ვიკითხოთ: 25 ოქტომბერს აქეთ რუსეთის ცხოვრების რომელ დარგს დაეტყო გამოკოცხლება? მთელი რუსეთი ანარქიამ მოიცვა: სატრანსპორტო საქმე კიდევ უფრო აირ-დაირია; დონეცის ქვანახშირის მაღაროებში ნორმალური მუშაობა შეწყდა; რუსეთი უქვანახშიროთ რჩება აღარაა ნავთი, ნედლი მასალები ბაზრიდან გაქრა“ და სხ, მოსთქვამს ბ-ნი წეველი.

თავი და თავი მიზეზი ცხოვრების არევ-დარევის, საქონლის გაძვირების და მის ბაზრიდან გაქრობის, არის ომის გაგრძელება, ეს დღეს, მგონია, ბავშმაც კი უნდა იცოდეს. საჭირო იყო პროლეტარიატის და გლეხობის ინტერესების დამღუპველ სისხლის ღვრის დროზე შეწყვეტა, ზავის ჩამოგდება. კერენსკის და ტერეშჩენკოს მთავრობა მენშევიკ წერეთლის ლოცვა-კურთხევით 8 თვის განმავლობაში აწარმოებდა ომის პოლიტიკას და არა ზავისას. მათი პოლიტიკა იყო ორპირული პოლიტიკა, დემოკრატიას ატყუებდენ სიტყვით: უანექსიო და უკონტრიბუციო ზავით, საქმით კი, ფაქტიურათ, ემსახურებოდენ ლოზუნგს: ომი ბოლომდის, ომი სრულ გამარჯვებამდე. და თუ დღეს ქალაქებში მუშა უპუროზით კვდება, თუ მუშის და გლეხის ცოლშვილი შიშველ-ტიტველი დადის, თუ სახელმწიფოში მატყლობს ანარქია, ამაში დამნაშავენი არიან ის პოლიტიკური პარტიები, რომელიც სიტყვით პროლეტარიატის და ღარიბ გლეხ - კაცობის ინტერესების დაცვას ჩემულობენ, საქმით კი მილიუკოვ - კალედინი - კორნილოვების ბატონობას უმზადებენ ნიადაგს: ასეთია თქვენი პოლიტიკა და თუ დღეს ბევრი თქვენთაგანი არ წონებს კერენსკის პოლიტიკას, თანახმად ანდაზისა: „ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მერმე გამოჩნდებაო,“ —მით უარე თქვენთვის: ეს ამტკიცებს თქვენი ტაქტიკის სიყალბეს. კმარა! პროლეტარიატმა და გლეხობამ შეაფერი მსჯავრი დასდო თქვენს ანტი სოციალისტურ „მოღვაწეობას.“ თქვენ, 8 თვის განმავლობაში, რუსული ანდაზის არ იყოს: „ბულბულს ზღაპრებით ჰკვებავდით“ მაგრამ დადგა დრო და გაგიფრინდათ ბულბული.

დღეს ის ზღაპრებით აღარ კმაყოფილდება. დღეს მის ხელშია რეალური ძალა, მას ამაყათ უპყრავს ხელში დროშა, რომელზედაც სისხლის ასოებით არის დაწერილი: გაუმარჯოს საყოველთაო დემოკრატიულ ზავს! გაუმარჯოს სოციალიზმს!

თქვენ კი წეველებო, პოლიტიკურათ კოტრებო, უჯარო სარდლებო, განაგრძეთ თქვენებურათ ძველებურათ! ალბათ კარგათ გახსოვთ თქმულება:

„იპორაკანეთ, ცილისწამეთ, რამე ნაყოფს მაინც გამოიღებს.“

კოლია ებრალიძე.

## ერისტო ივანეს ძე კენჭარაძე.

20 დეკემბერს, მხეც-ყაჩაღთა ბრბომ რიცხვით 30 კაცით მოულოდნელათ შემოიჭრა ქ. ხონში და თავს დაესხა დაწესებულებებს: ფოსტას, ბანკს, ქალაქის თვითმართველობას და მილიციის სადგომს. პირველათ ბრბო შეიჭრა ქალაქის თვითმართველობაში, სადაც საკუთარ კაბინეტში იმყოფებოდა ჩვენი საუკეთესო ამხანაგი, ხონის კომისარი, ერისტო კენჭარაძე, რომელსაც იქვე შუბლში ახალეს ტყვია და უსიტყვოთ დასცეს. იმსხვერპლეს მდივანიც, მათ არ დაინდვეს არც ერთი უპრადის მოსამსახური. ერთ და იმავე დროს შეჭრილმა ბრბომ ყველა დასახელებულ დაწესებულებებში მოგვიკლა ორი ამხანაგი და დასჭრეს 5-დის მოქალაქე. მაგრამ ხალხი ამით არ დაიბნა: მისმა ღირსეულმა ვაჟკაცის შვილებმა ღირსეულათ შეხვდენ მხეც-ადამიანებს და ხათგანი შეტაკების დროს სიცოცხლე მოუსპეს. დანარჩენებმა მოასწრეს გაპარვა და თან რამოდენიმე ათასი მანეთი გაიტანეს მხოლოთ ფოსტიდან, თან გაიტაცეს 5 ეტლი და გაიქცენ.

ვინ იყო ერისტო კენჭარაძე? ერისტო იყო ხონელების საუკეთესო შვილი. ის მუდამ ითვლებოდა ჩვენს ერთგულ ამხანაგათ. ჯერ კიდევ 1905 წ. ერისტო ღებულობდა მხურვალე მონაწილეობას სახალხო მოძრაობაში როდესაც ხონში დაარსდა ბალშევიკთა ორგანიზაცია, ერისტო სხვა ამხანაგებთან ერთათ თავგამოდებით შრომობდა და იბრძოდა სიტყვით და საქმით. ბევრი ჩვენი ბელადიც იცნობდა ერისტოს 1905 წელში. ვისაც ოდნავ გაახსენდება მაშინდელი ხონელი ამხანაგები, უსათუოთ ერისტოც მოაგონდება. შავ-ბნელ რეაქციის სუსხიანმა ქარმა ის მახლობელ სამეგრელოში, გადისროლა სადაც ის არა ნაკლებათ მუშაობდა სხვებთან ერთათ. განსვენებული სახალხო მასწავლებლათ იყო 15 წელს, რასაც პირნათლათ ასრულებდა, როგორც თავისი სინდისის, ეგრეთვე საზოგადოების წინაშე, რისთვისაც მას მუდამ მადლიერი ყავდა, როგორც შეგირდები, ისე საზოგადოება. მას კარ ჩაკეტილი და ზოგიერთივით კერძოთ ცხოვრების ჩარჩოებში არ უყვარდა ჯდომა, ჰყვარობა საზოგადო დაწესებულებებში შრომა. ნამალავათ ეწეოდა ერისტო არალეგალური ლიტერატურის გავრცელების საქმეს ხალხში, მაგრამ ყველა ამეებს მოსწყვიტა ის მო-

ბილიზაციამ და გაწვეულ იქნა სამხედრო სამსახურში ჯარის კაცათ. თითქმის ერთი წლის შემდეგ ერისტო, პრაპორშჩიკი ხდება და მას გზავნიან ოსმალეთის ფრონტზე. იქ ერისტომ თავისებური ხასიათი და მიმართულება გამოიჩინა. სალდათებს ის ეპყრობოდა, როგორც მოქალაქეს, ამიტომ მას „დემოკრატობა" შეამჩნიეს და ყველა უფროსებისგან დაიმსახურა „სარქვე" აფიცრის სახელი.

რამოდენიმე წლის შემდეგ ერისტო მობრუნდა სამშობლოში და საზოგადოების და ამხანაგების თხოვნით მან დროებით იკისრა ხონის კომისარობა.

ძვირფასი და ღირსეული იყო ერისტო, როგორც ადამიანი. მას სხვა მრავალი ღირსეული თვისება ამკობდა, რომელიც აუცილებელია ყოველი პატიოსანი მოქალაქესათვის. მაგრამ არც ერთი არ დაზოგა ხულიგანთა გამხეცებულმა ბრბომ და ის სამუდამოთ გამოგვაცალა.

სამუდამო იყოს ხსენება შენი, საყვარელო ამხანაგო, ჩვენ შორის!

**ნ. მეუნარგიშვილი.**

# პროვინცია.

ქ. სამტრედია.

ქ. სამტრედიას დაეპატრონა მენშევიკები. მათ დაივიწყეს სამტრედიის მოქალაქეთა ქირვარამი, რა დაპირებები, როგორი სურათებით არ დაუხატეს ხალხს თავისი პარტია, რომ ხალხს მათთვის დაეჭირა მხარი. მენშევიკებმა გაიმარჯვეს, ყველგან თავისი კანდიდატები გაიყვანეს. რა გაუკეთეს ხალხს? არაფერი.—მათ მხოლოდ თფილი ადგილები აინტერესებდათ, ამას მიაღწიეს, მორჩა და გათავდა. მენშევიკების მოღვაწეობაც ხალხის ბედნიერებისათვის ამით გათავდა. საქმის გაკეთებას ვინ დაეძებს, რომ მენშევიკები თავიანთი მოქმედებით ხალხს უბედურებას არ უმზადებდენ აქაურ მენშევიკებს ყოველ ფეხის გადადგმაზე ბალშევიკები ელანდებათ. ავრცელებენ ხმებს: არიქა ბალშევიკები გამოსვლას აპირებენ სენაკი უკვე დაამტვრიესო და სხვა. იკეტება მაღაზიები, ისხამენ იარაღს და უცდიან: აი სადაცაა გამოჩნდებიან ბალშევიკები და გაანადგურებენ ყველაფერსო

აქ შეადგინეს წითელ გვარდიელების რაზმი მუშებისა და რამოდენიმე ვაჭრისაგან. სამწუხაროთ უნდა ვსთქვა, რომ გვარდია ბრმა იარაღათ არის გადაქცეული მენშევიკურ მართველობის ხელში. ამხანაგ წითელ გვარდიელნო! თქვენ რომ ახალ სენაკში გზავნიდენ, რისთვის დანამდვილებით არ გაიგეთ მიზეზი თქვენი იქ გაგზავნისა? არც ერთ თქვენგანმა არ იცოდა ამის მიზეზი. ზოგი ამბობდა, სენაკში დასასვენებლათ მყოფ ჯარს პოგრომი მოუხდენია, ზოგი ამბობდა ბალშევიკები გამოსულან და მათ წინაღმდეგ მივალთო. ზოგი ამბობდა, არ ვიცი რისთვის გვგზავნიანო.

ამხანაგებო! დღეს რევოლიუციის მტრები ათასნაირ პროვოკაციულ ხმებს ავრცელებენ. ადვილი შესაძლებელი იყო ინმე პროვოკატორს შეეტყობინებია სენაკის ჯარისთვის: „ფრთხილად იყავით თქვენ თავს გესხმიან სამტრედიელი წითელ გვარდიელებიო." მერმეთ რა მოყვებოდა ამას? ის რომ იქ მყოფი ჯარი მტრად აქცევდა თქვენს მატარებელს, სანემდი თქვენ მატარებლიდან ჩამოხვიდოდით დაიღვრებოდა ძმათა შორის სისხლი. შემდეგ გამოირკვა, რომ არავითარი პოგრომი, არავითარი გამოსვლა იქ არ ყოფილა.

18 დეკემბერს საღამოს ცხრა საათზე სამტრედიის სადგურზე შემდეგ საზარელ შემთხვევას ჰქონდა ადგილი:

სამტრედიას ატყობინებდენ ბათუმის მხრიდან, რომ №24მატარებლით მოდიო. და რამოდენიმე შეიარაღებულს ჯარისკაცი და მოითხოვდენ სამტრედიას ზოიმები მიელო იარაღის ჩამოსართმევათ. სამხედრო სახალხო ოხრანის ნაჩალნიკი военно-народная охрана) იაკობ დუნდუა თავისი ოხრანით მოემზადა საგმირო ბრძოლისათვის.

როდესაც მატარებელი გაჩერდა, ი. დუნდუამ და შემდეგ ოხრანამ გაუფრთხილებლათ აუტეხა სროლა იმ ვაგონს, საიდანაც თოფიანი ჯარისკაცი გამოიყურებოდა. ხალხი თავზარდაცემული გარბოდა. ვინც გაქცევა ვერ მოასწრო, იატაკზე დაეყარა გონება დაკარგული.

შედეგი ასეთი იყო: სამი მძიმეთ დაჭრილი და ერთ ბავშვი შიშისაგან ჭკუაზედ შეცდა. როდესაც ჯარის კაცს ქრილობას უხვევდენ მან სთქვა: „სამჯერ თათრის ფრონტზე დავიჭერი, იქ გადურჩი სიკვდილს, ეხლა უკვე სახლში ვიყავი მეგონა და აქ ჩემივე ძმის ხელიდან ვკვდებიო—"ო.

ასეთია სამტრედიის უპასუხისმგებლო მთავრობის მოღვაწეობა..

აქ ისე დაწვრილმანდენ მენშევიკები, რომ ბიუროზე განცხადებაც (ვივესკა) არ დაგვიყენეს. რცხვენოდეთ ისეთ ვაჟბატონებს, რომ სხვა იარაღი ვერ გიპოვიათ ჩვენთან საბრძოლველად გარდა ქორებისა და „ვივესკის" ჩამოგდებისა. აქ მენშევიკები ისე უყურებენ ბალშევიკებს, როგორც „ივერიელები" მესამე დასის წარმოშობას ჩვენში. რო შეგხვდება მენშევიკი, უეჭველად გაიცინებდა და ირონიულად) რას შვები, როგორაა საქმე ბალშევიკოვო, გეტყოდა.

უკანასკნელად კი კილო შეიცვალეს. თქვენ გეშინიათ და არც შეგიძლიათ არ გეშინოდეთ ჩვენში ბალშევიზმის შემოჭრის, რადგან ზურგს შეგაქცევთ და სამარცხვინო ბოძზედ გაგაკრავთ ის ხალხი, რომელიც თქვენ ათასნაირი ხრიკებით მიიმხრეთ და მოატყუილეთ. თვით ხალხი კი მონახავს თავის ნამდვილ გზას, ის თავს შეაფარებს ბალშევიზმის დროშას და ამ სასახელო დროშით გასწევს ბრწყინვალე მომავლისაკენ—სოციალიზმის სამეფოში.

სამტრედიაში ხალხი თან დათან ერკვევა მენშევიზმის ბურუსიდან და გადმოდის ჩვენს მხარეზე.

ჩვენს აგიტაციას თანაგრძნობით ხვდებიან. 25 ქრისტეშობისთვეს მ. ტოროშელიძემ წაიკითხა ლექცია მომენტზე. ხალხი გულ დასმით უსმენდა ლექტორს და მწუხარე ტაშითაც დააჯილდოვეს ის როდესაც მან შესაფერი პასუხი გასცა ოპონენტს: მიქაძის ქორებს და მის დემაგოგიას.

**კაშინა.**

# რუსეთის ქრონიკა.

„კავშირიდან" მენშევიკების გამოსვლა.

როგორ ვიცით დამფუძნებელი კრების მოლოდინში მისი გარეკის შიშით დაფრთხალმა ობორონცებმა „სამღვთო დაცვის კავშირი" შეადგინეს, სადაც მენშევიკები დღემდე ალბათ მოწინავე რიგში იდგნენ.

დღეს კი, როგორც გვატყობინებენ, „გაერთიანებული რ. ს. დ. მ. პ. ის (მენშევიკების) ცენტრალური კომიტეტი ზემოხსენებულ კავშირიდან გაეიდაო.

ამ ამბავმა პოლიტიკურ წრეებში ეს აზრი დაბადა, რომ მენშევიკების ცენტრალურ კომიტეტში ინტერნაციონალურმა მიმდინარეობამ გაიმარჯვა და პარტიის პოლიტიკა სახალხო კომისარების საბჭოს სასარგებლოთ გადაიხარაო. დიდ მნიშვნელოვანია ეს ფაქტი თავისთავათ რუსეთის რევოლიუციისათვის საერთოთ. კერძოთ კი რუსეთის მენშევიკების, რომლებიც ოქტომბრის დღეების შემდეგ გაქრობის გზას დაადგენ. კერძოთ კიდევ ჩვენთვის საინტერესოა: ჩვენი მენშევიკები ახლა ვილას გაყვებიან? თავიანთ ცენტრალურ კომიტეტს, თუ „საკუთარ დამოუკიდებელ" კომისარიატს?

# საზღვარ-გარეთ.

მოკავშირეთა რეპრესიები.

რუსეთის „ერთგული" მოკავშირეები ყოველ ღონეს ხმარობენ რუსეთის რევოლიუციის ამბავი სისწორით არ გაუშვან თავიანთ საზღვრებში. რაპოპორტი, მაგალითად „ჟურნალ დეპეილში" ამჟღავნებს, რომ მთავრობამ საფრანგეთში რუსული ჟურნალ-გაზეთების შემოტანა აკრძალაო. ასეთივე ცნობას იძლევიან ინგლისელი ამხანაგებიც ინგლისის შესახებაც. იტალიის დეპეშათა სააგენტო კი იქამდე მივიდა, რომ პეტროგრადის დეპეშათა სააგენტოს ცნობების გადაცემაზე უარს ამბობს, მაგრამ მიუხედავათ ყველა ამ ზომებისა, რა თქმა უნდა რუსეთის ამბები, მაინც შედის, თუმცა დაგვიანებით მოკავშირეთა საზღვრებში და თან დათან ვრცელდება ხალხში.

მოკავშირეთა ერთგული მთავრობა აქაც შესაფერ ზომებს ღებულობს. ინგლისში მაგალითათ, პოლიცია დაეძებს იჭერს მათთვის არა სასურველ „საიდუმლო აელშეკრულებებს," რომლებიც იქ დაინტერესებულ პირებს თვითმწერ მანქანებზე გადაუბეჭდიათ და ხალხში ავრცელებენ.

საფრანგეთის მუშებს კი ჩვენი ციმერვალდელი ამხანაგები აწვდიან ცნობებს.

რეპრესიების გაძლიერება ავსტრიასა და გერმანიაში.

როგორც ქ. ბერნიდან გადმოცემულ ცნობებით ვტყობილობთ ავსტრია-უნგრეთში დეპუტატ ბენიესის შეკითხვაზე თუ რათ იხმარა მთავრობამ სასტიკი რეპრესიები პრესის წინააღმდეგ. უნგრეთის მინისტრმა ვაკერლემ საპასუხოთ განაცხადა, რომ ზოგი გაზეთი, მაგალითათ „აზესტი" ჩვენს ოფიცრობას ცილს სწამებდა, რაც სალდათებზე ცუდ გავლენას ახდენდა, ამიტომ დისციპლინის დასაცველათ ასეთი გაზეთები შევაჩერეთო. მინისტრის აზრით მთავრობას განსაკუთრებული სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს, რომ მტრებმა არ იფიქრონ, თითქო ავსტრია-უნგრეთი კატასტროფის წინაშე დგას. ასეთი სიფრთხილე ახლა ამ საზავო პირობებზე მოლაპარაკების დროს კიდევ უფრო საჭირო ხდება.

გერმანიის მთავრობა კიდევ მემარცხენე სოც. დემოკრატების, ეგრეთ წოდებულ „დამოუკიდებლების" წინააღმდეგ აძლიერებს რეპრესიებს. გერმანულ გაზეთებში ცენზურას როგორღაც გაპარვია ამ გვარი ცნობები მხოლოდ ქ. კელინის შესახებ, სადაც „დამოუკიდებელთა" ფრაქციის მთელი კომიტეტი დაუტუსაღებიათ.

ციურიხიდან კი იუწყებიან, რომ მთელ გერმანიაში, ყველა ცენტრალურ ქალაქებში სასტიკი ჩხრეკა-ძიება მოახდინეს და 300 კაცი დაატუსაღეს.

# განცხადება.

რ. ს.-დ მ. პ. მეუმრავლესეთა (ბალშევიკების) ოზურგეთის კომიტეტი აცხადებს თანამოაზრეთა საყურადღებოთ, რომ პარტიაში ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე: 1) ქალაქის აფთიაქის გამგე ფილიპე ცხომელიძესთან და 2) მარო ლომინაძესთან დღის 3 საათიდგან საღამოს 6 საათამდე ჯაბა მამულაიშვილის სახლში, თეატრის გვერდით.

# პროვინციალური ორგანიზაციების საყურადღებოთ.

ამხანაგებო! თქვენზე ირიცხება ბევრი ვალი გაზეთებისა. უმორჩილესათ გთხოვთ საჩქაროთ გაასწოროთ ანგარიში, წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნებით გაზეთების გზავნა შევწყვიტოთ, ვინაიდან ჩვენი გამომცემლობა ფინანსიურათ კრიტიკულ მდგომარეობაში იმყოფება.

საგამომცემლო კოლეგია.

# ქუთაისის გუბერნიაში

მომქმედ ორგანიზაციების და ჯგუფების საყურადღებოთ, ქუთაისის რ. ს. დ. მ. პ. (მეუმრავლესეთა) კომიტეტი აცხადებს, რომ ყოველივე მიწერ-მოწერა და ორგანიზაციების მუშაობის შეკავშირება-შეთანხმება ევალება ამხ. ვას. კანდელაკს. მისამართი მისი (Кутаисъ. Госпитальная № 26).

სტამბა „ქართლი" ლორისმელიქოვის ქუჩა.